რუსუდან ხუციძე

16 წლის

ქალაქ ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის მეორე საჯარო სკოლა

მე-11 კლასი

  დღეს ხშირად ვხვდებით ჩაგვრასა და დამცირებას განსხვავებული ადამიანების მიმართ. ამის მიზეზი წარმოშობა, რელიგია ან ეთნიკურობაა. ეს მუდამ იყო და არის საზოგადოების უდიდესი პრობლემა. ხალხს ყოველთვის ეშინოდა სიახლეებისა და განსხვავებულის მიღება. მაშინ, როდესაც ადამიანების უმრავლესობა უარყოფითადაა განწყობილი რაიმის მიმართ, რთულია მივიღოთ გადაწყვეტილება და მხარი დავუჭიროთ ჩაგვრის მსხვერპლს, რადგან საზოგადოების განსჯის წერტილად ვიქცევით, რაც ბევრისათვის არასასურველია. დღევანდელი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია იმ ღირებულებების შეხსენება, რომლებიც ხალხს განვითარების პერსპექტივას აძლევს. ამ ღირებულებებს შორის უდიდესი როლი უჭირავს ტოლერანტობას. ამ სიტყვის ლათინურიდან თარგმანი ქართულად შემწყნარებლობას ნიშნავს. ტოლერანტობა თავშეკავებასა და ატანას მოითხოვს განსხვავებული მსოფლმხედველობის, ცხოვრების წესის, ქცევისა და ჩვეულების მქონე ადამიანებისადმი.

საქართველოს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მსოფლიოში რელიგიური თუ კულტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისით. გააჩნია უნიკალური ტოლერანტული თანაცხოვრების ისტორია. ჩვენს ქვეყანას აქვს სწორად განვითარების უდიდესი საფუძველი და პერსპექტივა. ამაზე ჩვენი წარსულიც მიგვითითებს.

ყველასათვის ცნობილია, რომ ებრაელებს არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უამრავი განსაცდელი გადახდათ თავს. ისინი განუწყვეტლივ იდევნებოდნენ თითქმის მთელ მსოფლიოში, მაგრამ ყოველთვის შეეძლოთ თავი საქართველოსთვის შეეფარებინათ. „მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც ებრაელობა 2600 წელია ცხოვრობს და ამ ხნის მანძილზე არცერთხელ არ განუცდია რბევა და აწიოკება…“ - ამ სიტყვებით გამოხატა ქართველთა და ებრაელთა მეგობრობა ებრაელთა ცნობილმა რაბინმა დავით ბააზოვმა. მისი

ნათქვამი ამტკიცებს, რომ ქართველები დასაბამიდან შემწყნარებლები იყვნენ და ტოლერანტობა ყოველთვის იყო ქართული საზოგადოების ნაწილი. ჩემი აზრით, სწორედ საქართველოს მაგალითზე უნდა სწავლობდნენ სხვა ერებიც. მე ვამაყობ ჩემი სამშობლოთი, რადგან ის ყოველთვის გამოირჩეოდა შემწყნარებლობითა და თანასწორობით განსხვავებული ადამიანების მიმართ.

გარდა ისტორიისა ქართულ ლიტერატურაშიც მრავლადაა გაბნეული ტოლერანტობის მარცვლები. ამ ფუნდამენტს ვხვდებით შოთა რუსთაველის პოემაში, სადაც ინდოელები, არაბები და სხვა ერის წარმომადგენლები ერთიანდებიან იმისთვის, რომ კონკრეტულ მიზანს მიაღწიონ(ქაჯეთის ციხე აიღონ). საბოლოოდ მათი ერთობა და თანასწორობა შედეგს გამოიღებს და დასახულ მიზნამდე წარმატებით მივლენ. ვხვდებით, რომ გადამწყვეტ მომენტში უმნიშვნელოა ერონება თუ რელიგია მთავარი ერთობა და თანასწორობაა.

ნაწარმოების საწყის ეტაპში მგოსანი წერს: ,,ჩვენ კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა''. უთვალავი ფერი ამ შემთხვევაში მრავალფეროვნებაა. საზოგადოებაში მყოფი ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, რაც სრულიად ბუნებრივია და კარგიცაა ჩვენთვის, რადგან ერთფეროვანი საზოგადოება წინ ვერ მიიწევს, ერთ ადგილას დგას, ხოლო მრავალფეროვნება ხალხის ზრდასა და განვითარება განაპირობებს, ასევე ბადებს ახალ იდეებს, რაც დღევანდელ საზოგადოებას ნამდვილად ესაჭიროება.

უმრავლესობისგან გამორჩეული პიროვნება გარეგნობით, მრწამსითა თუ პოლიტიკური თვალსაზრისით საზოგადოებისათვის შესაძლოა მიუღებელი იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ადამიანი ცუდია ან უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებაზე. ჩემი აზრით, სწორედაც რომ მრავალფეროვნებაა უპირველესი წინაპირობა საზოგადოების წინსვლის, ამის შემდეგ კი აუცილებელია ტოლერანტობა , რომელიც ხელს უწყობს მრავალფეროვნების მრაველფეროვნებას.

ვფიქრობ, რომ ყველაფერთან ერთად ტოლერანტობასაც აქვს საზღვრები. ჩემი აზრით, დაუშვებელია არატოლერანტი ადამიანებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება, რადგან ასეთი ქცევა სრულიად უარყოფს შემწყნარებლობის მცნებას. თუ ჩვენ ტოლერანტები ვიქნებით ისეთი ადამიანებისადმი, რომლებიც არატოლერანტულად არიან განწყობილნი განსხვავებული პიროვნებებისადმი, მაშინ აუცილებლად დავინახავთ უარყოფით შედეგებს.

ჩვენი მიზანი არ უნდა იყოს არატოლერანტი ადამიანების შემწყნარებლობა, არამედ უნდა ვეცადოთ, რომ უკეთესი გზა ვუჩვენოთ.

დღევანდელი საზოგადოებისათვის ჰაერივით მნიშვნელოვანია ტოლერანტობა, რადგან ნელ-ნელა ჩვენი მსოფლიო უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება. იმისათვის, რომ მზად ვიყოთ სამყაროს ასეთი ცვლილებისათვის, აუცილებელია გავიხსენოთ ჩვენი წარსული და არ დავივიწყოთ ის ღირებულებები, რომლებიც საზოგადოებას ღირსებას ჰმატებს და განვითარების მკაფიო გზას უსახავს.

განსხვავებული არ ნიშნავს ცუდს, განსხვავებული ნიშნავს ახალს, ხოლო საზოგადოება, რომელიც სიახლეებისა და განსხვავებულის მიმართ მიმღებლურადაა განწყობილი, ტოლერანტი საზოგადოებაა. სიახლეები ხალხის ზრდისა და განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია. ერთფეროვანი, ძველმოდური საზოგადოება, რომელიც ჩარჩოებშია მოქცეული, ერთ ადგილას იყინება მანამ, სანამ დათბობის სახით არ გამოჩნდება შემწყნარებლობა და მზის თბილი სხივებივით არ მოედება გაყინულ არემარეს.